



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2018
იანვარი




02.02.2018
www.geostat.ge

ინფლაცია საქართველოში, 2018 წლის იანვარი

2018 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0,6 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 4,3 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.



მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:


სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 1,7 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,52 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (9,8 პროცენტი), ბოსტნეული და ბალახი (5,3 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (3,0 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1,0 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,7 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე აისახა 0,21 პროცენტული პუნქტით. ფასები გაიზარდა ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების (2,5 პროცენტი), აგრეთვე წყალმომარაგების და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7,7 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ფასები შემცირდა 2,1 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში -0,08 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ჯგუფში ფასები შემცირდა როგორც ფეხსაცმლის (-3,5 პროცენტი), ისე ტანსაცმლის (-1,5 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2018 წლის იანვრის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 4,7 პროცენტით, რაც 1,44 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (13,5 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (7,9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (6,6 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღრეული (4,3 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (4,3 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (4,0 პროცენტი);

ტრანსპორტი: ფასები მომატებულია 6,6 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,91 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (9,7 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (3,4 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-9,2 პროცენტი);


ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 11,5 პროცენტით, რაც 0,75 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (19,8 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (3,5 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 6,4 პროცენტით, რაც 0,52 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობები (10,7 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (5,4 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (2,8 პროცენტი);


საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 4,2 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0,35 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების (4,6 პროცენტი), ასევე წყალმომარაგების და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7,7 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში (წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში (12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
 ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
 ფაქსი: (+995 32) 236 72 13
 ელ. ფოსტა: gtetrauli@geostat.ge